

# ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF  
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

## საქართველოს ინტერნეტიზაციის ლიტვური მოდელი - პრობლემები და ძირითადი განსხვავებები

ავტორი: უჩა სეთური

აგვისტო, 2015

# საქართველოს ინტერნეტიზაციის ლიტვური მოდელი - პრობლემები და ძირითადი განსხვავებები

## 1. არსებული პრობლემების მოკლე მიმოხილვა

ბოლო 10 წლის განმავლობაში, საქართველოს ბაზარზე მოქმედი ოპერატორების შედარებითი სიმრავლის მიუხედავად, სადენიან ინტერნეტის მომსახურებას სამი ძირითადი კომპანია ახორციელებს: „სილქნეტი“, „კავკასუს ონლაინი“ და „ახალი ქსელები“-„ახტელის“ ჯგუფი. პირველი კომპანია დომინანტია, თუმცა მესამე ჯგუფში შემავალი აბონენტებისთვის ინტერნეტის მიწოდება ძირითადად „ახალი ქსელებისა“ „ახტელის“ მიერ ხორციელდება. მიუხედავად აბონენტების რაოდენობის ზრდის დადებითი მაჩვენებლისა,<sup>1</sup> პრობლემად რჩება ინტერნეტის ფასების ზრდის, ჩანაცვლებადი სერვისების ხელმისაწვდომობის და კონკურენციის პრობლემები.

საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა, კერძოდ კი საქართველოს კანონის „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ მე-5 თავი, მონოპოლისტებისგან ბაზრის და მომხმარებლის დაცვის რეგულირებას ემსახურება, თუმცა, სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში, კომპანიებისთვის დაკისრებული ეს ვალდებულებები არ სრულდება ან ამგვარ კომპანიების სპეციფიკური, კონკურენციის უზრუნველმყოფი ვალდებულებები საერთოდ არ აქვს დაკისრებული.

საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თუმცა, საშუალო ვადიანი ან გრძელვადიანი ინფო საკომუნიკაციო (ICT) განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი ქვეყანას არ გააჩნია და საქართველოს ბაზარი არაპროგნოზირებადი და შესაბამისად, მაღალი რისკის მატარებელია ინვესტორებისთვისაც. მიზეზი მრავალგვარია, თუმცა, მოსახლეობის და ბაზრის მცირე მოთამაშეების მონოპოლისტებისგან დაცვის სახელმწიფო რეგულაცია ვერ სრულდება და მიუხედავად საკანონმდებლო მოთხოვნებისა - „კანონი არ მუშაობს“.

საქართველოს ინტერნეტიზაცია უნდა იყოს ცალსახად სოციალური პროექტი, თუმცა, უმთავრესი პრობლემა, რის გადაწყვეტაც მიდგომების ჩამოსაყალიბებლად უწევდა ამა თუ იმ სახელმწიფოს, იყო მთავრობის ინტერვენციის დოზა და ფულადი მოცულობა, რაც უნდა შეწონილიყო იმ ზიანთან, რომელიც თავისუფალ ბაზარს მიადგებოდა.

ვფიქრობთ, რომ ის რყევები, რომელიც მონოპოლისტი კომპანიების შერწყმის ან აქტივობების შექმნით არის განპირობებული, სწორედ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

<sup>1</sup> შენიშვნა: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ პორტალის მონაცემებით ფიქსირებული ტექნოლოგიით ინტერნეტის მიმღები მომხმარებლების რაოდენობა 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის იანვრამდე 508 ათასიდან 573 ათასამდეა გაზრდილი.

<http://analytics.gncc.ge/ka/statistics/?c=internet&sid=56091&f=subscribers&exp=technologies>

სამინისტროს და მისი სსიპ-ის „საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს“ არასწორი, არათანმიმდევრული და დახურული აქტივობების შედეგია. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული „ოფენტი“ მოახდენს ქსელის მშენებლობას და მართვას (მიუხედავად იმისა, ვინ ააშენებს საჭირო საქსელო ინფრასტრუქტურას და ვინ მოახდენს მის მართვას), ბაზარზე გაჩნდება ახალი მოთამაშე დაფინანსებული გრანტით. პროექტის ფარგლებში, წინასწარ გავრცელებული ინფორმაციით, მოხდება არსებული ქსელის „დაგრძელება“ დაუკაბელებელ გეოგრაფიულ ზონებამდე, რაც პირველ რიგში, მისაღებია ყველაზე დიდი სადენიანი მაგისტრალური ოპერატორებისთვის.

მიუხედავად ამგვარი წინაპირობებისა, 2014-2015 წლებში შეინიშნებოდა გარკვეული აქტივობები საქართველოს ფართოზოლოვანი დაფარვის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, თუმცა საქართველომ ეს პროცესები წინასწარი დაგეგმვის და სტრატეგიის არარსებობის პირობებში დაიწყო. არსებული სხვადასხვა მოდელების მიუხედავად, პროცესი დაიწყო საჯარო განხილვების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გარეშე, და მხოლოდ რამდენიმე კაციანი ჯგუფის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა კონკრეტული ბიზნეს მოდელის შერჩევა, საკმაოდ ბუნდოვანი საკონკურსო პირობების დადგენა და კონკურსის ჩატარება.

სსიპ „საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს“ ბოლო განცხადებით,<sup>2</sup> რადგან კერძო სექტორი არ აპირებს პროექტში ჩაბმას, საქართველოს ინტერნეტიზაციის პროექტს ფონდი ქართუ“ დააფინანსებს და გამოყოფს გრანტს ამ პროექტისთვის. ეს ინიციატივა უდავოდ უნდა ჩაითვალოს „საჩუქრად“ საქართველოს მოსახლეობისთვის. პროექტის ბიუჯეტის ხარჯვის გამჭვირვალობა და სწორი, ინტერნეტ ოპერატორებისთვის ნაკლებად „საშიში“ მოდელის შერჩევა, სწორედ ღია და საჯარო კონსულტაციების შედეგად უნდა მოხდეს. სამწუხაროდ, გადაწყვეტილების მიღება „დახურულ კარს მიღმა“ ხდება, რის მიზეზი გაურკვეველია.

მიუხედავად წარუმატებელი კონკურსისა, ეკონომიკის სამინისტროს სსიპ „საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს“ ხელმძღვანელმა<sup>3</sup> დააანონსა ახალი გეგმა, რომელიც ლიტვური გამოცდილებას ეყრდნობა და ამ ქვეყნის მოდელზეა ორიენტირებული. დადებითი შეფასებების მიუხედავად, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც, ლიტვის ბიზნეს მოდელის შერჩევა, დაინტერესებული პირების ჩართულობის, დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასების და სხვა მნიშვნელოვანი ეტაპების გავლის გარეშე განხორციელდა.<sup>4</sup>

## 2. ლიტვის მოდელის თავისებურებები

<sup>2</sup> <http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelosi-sayoveltao-maralsicqariani-internetizaciis-proeqtis-winamosamzadebeli-samusaoebi-daiwyo&type=print>

<sup>3</sup> <http://www.ibusiness.ge/maghalsichqariani-internetis-infrastruqturas-kompaniebis-nacvlad-sakhelmwifoganavitarebs/>

<sup>4</sup> [http://www.oecd.org/officialdocuments/publicdisplaydocumentpdf/?cote=daf/comp/wp2/wd\(2014\)6&doclanguage=en](http://www.oecd.org/officialdocuments/publicdisplaydocumentpdf/?cote=daf/comp/wp2/wd(2014)6&doclanguage=en)

ლიტვაში, მათი მოდელის რეალიზაციის შედეგად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ახალი ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის შედეგად, ლიტვის მოსახლეობისთვის ფართოზოლოვანი ქსელის დაფარვა გაფართოვდება არსებული 80%-დან დაახლოებით 98%-მდე. ევროკომისიის შეფასებით, ამ პროექტმა, ქვეყნის რეგიონებში მცხოვრებ დაახლოებით 750.000 მოსახლეს (ლიტვის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 22%) დამატებით საშუალება მისცა, ჰქონდეთ წვდომა ფართოზოლოვან სერვისებზე ფიქსირებული, მობილური, უსადენო ტექნოლოგიური გადაწყვეტით. ლიტვის შემთხვევაში, ასევე არსებობდა ევროკომისიის გადაწყვეტილება სახელმწიფო ჩარევის საკითხებთან მიმართებაში.<sup>5</sup>

## საჯარო კონსულტაციების პრობლემები დაინტერესებულ მხარეებთან

დაინტერესებულ მხარეებთან დეტალების გაცნობის მიზნით ლიტვის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამართეს საჯარო კონსულტაცია. დეტალების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის დაგეგმილი მარშრუტების შესახებ ოპტიკურბოჭკოვან ხაზებზე, შეთავაზებულ იქნა კერძო ოპერატორების მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორი ინტერესს არ გამოთქვამდა არსებული მაგისტრალების შესაძლო დუბლირების შესახებ, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზების მარშრუტები პროექტირდებოდა სახელმწიფო კომპანიის მიერ. კონსულტაციის მიმდინარეობისას, რამდენიმე კომერციულმა ოპერატორმა დაინტერესება გამოხატა თავიანთი ფართოზოლოვანი დაფარვის გაფართოების საკითხზე და ამისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ფონდთან იმ ტერიტორიების შეერთება დაასახელეს, რომლებიც ამჟამად არ არის დაფარული.

### ლიტვური პროექტი შედგება ორი დონისგან:

1. ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა ინფრასტრუქტურის გაერთიანებით, რომელიც განაწილდა ექვს რეგიონზე. სამშენებლო სამუშაოები (სამშენებლო სამუშაოები, მილები, მუქბოჭკოვანი და ა.შ.) განხორციელდა ღია ტენდერში შერჩეული კერძო ოპერატორების მიერ, რომლებიც შესაბამისობაში იყო ეროვნული და ევროკავშირის შესყიდვების დერეკტივებთან. სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩა ახლადშექმნილი RAIN-ს ქსელი.
2. RAIN-ის ქსელის მართვის სისტემა და საბითუმო მომსახურების შეთავაზება მესამე მხარის მომსახურების პროვაიდერებისთვის განხორციელდა საჯარო, არაკომერციული იურიდიული პირის მიერ, რომელსაც “*Placiajuostis internetas*” ეწოდება. RAIN ქსელის მომსახურება და ტექნიკური მხარდაჭერა ასევე ღია ტენდერით შერჩეული კერძო ოპერატორების მიერ განხორციელდა.<sup>6</sup>

შერჩეული ქსელის ტიპოლოგიას უნდა უზრუნველყო ტექნოლოგიური ნეიტრალურობა: რამდენიმე ალტერნატიულ პლატფორმას უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა ძირითად სატრანზიტო ქსელად გამოყენებინა სახელმწიფოს მიერ აშენებული ქსელი და მისი საშუალებით შეთავაზებინა საცალო მომსახურება ბოლო მომხმარებლისთვის. ბოლო მომხმარებლებს

<sup>5</sup> Commission decision in case N497/2007 - Broadband Infrastructure in Lazdijai and Alytus, Lithuania. OJ C/290 of 13.11.2008.

<sup>6</sup> [http://nmhh.hu/dokumentum/2504/03\\_rain\\_tvaronavicius.pdf](http://nmhh.hu/dokumentum/2504/03_rain_tvaronavicius.pdf)

უჩნდებოდათ შესაძლებლობა კონკურენტული შეთავაზებებიდან შეერჩიათ მათთვის მისაღები საცალო ოპერატორი და კომფორტული მომსახურების ტექნოლოგია (უსადენო, სადენიანი ან მობილური). ლიტვის ხელისუფლების ხედვით, დაგეგმილი პროექტი ეკონომიკურად შესაძლებელს ხდიდა კომერციული ოპერატორებისთვის ინვესტირება მოეხდინათ ე.წ. „ბოლო მილის“ ანუ დამაბოლოებელ ქსელში და მიეწოდებინათ მომსახურება რეგიონების მომხმარებლებისთვის.<sup>7</sup>

საბითუმო მომსახურების ტარიფები განისაზღვრა ლიტვის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ. ლიტვის ხელისუფლების მიზანი იყო უზრუნველყო საცალო ფართოზოლოვანი მომსახურება მიზნობრივ რეგიონებში ქალაქების მსგავს ფასებში. საბითუმო ტარიფები განსაზღვრული იყო ქალაქის ტერიტორიაზე დადგენილი საშუალო საცალო ფასის მიხედვით, სადაც არ ხდებოდა ოპერირება სახელმწიფო დაფინანსებით მოქმედი ქსელებით. საბითუმო ფასებზე ხორციელდებოდა ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს კონტროლი.

დახმარების პირდაპირი ბენეფიციარი იყო საბითუმო საქსელო ოპერატორი - Placiuostis internetas. დახმარების არაპირდაპირი ბენეფიციარები იყვნენ ელექტრონული სერვისების ოპერატორები, რომლებიც გამოიყენებენ ახალ აგებულ ქსელს საცალო მომსახურების შესათავაზებლად ბოლო მომხმარებლებისთვის.

პროექტი სრულად დაფინანსდა გრანტების მეშვეობით. პროექტ RAIN-ისთვის საჭირო მთლიანი თანხა შეადგენდა დაახლოებით 209 მილიონ ლიტს (დაახლოებით 60.5 მილიონი ევრო). ევროპის რეგიონული განვითარების ფონდმა (ERDF) პროექტი 51.4 მილიონი ევროს, ხოლო ლიტვის მხარის მიერ 9.1 ევროს ოდენობით დააფინანსა.

ლიტვის მოდელის შეფასებისას, მნიშვნელოვანია, ასევე, გამოიყოს ის ფაქტი, რომ ლიტვის ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო ვალდებულება მოეხდინა დამატებითი სახსრების კუმულაცია ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ დონეზე. ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ მომხდარიყო სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დახმარების სქემების ამოქმედება და დაფინანსება შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების და სხვადასხვა დაწესებულებებისთვის ინტერნეტ მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო მოახდენდა მისი, როგორც მომხმარებლის მიერ მომსახურების შესაბამისი ოდენობების გარანტირებულ დაფინანსებას. ევროკომისიის გადაწყვეტილებით, ფინანსური მონაწილეობის გამო, ეს პროექტი კონტროლდებოდა ევროპის რეგიონულ განვითარების ფონდის მიერ. პროექტი „RAIN-ი“ უნდა დაწყებულიყო 2009 წელს და დასრულებულიყო 2014 წელს.

ცალკე უნდა გამოიყოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების ნაწილი. ლიტვის ხელისუფლებამ სატენდერო პროცედურები ორ ეტაპად გაანაწილა. პირველი ეტაპის განმავლობაში ქსელის კონსტრუქცია დაიყოფა ათ პატარა პროექტად, შემოთავაზება შეირჩა ქვე-

<sup>7</sup> [http://ec.europa.eu/competition/state\\_aid/cases/230497/230497\\_978155\\_39\\_1.pdf](http://ec.europa.eu/competition/state_aid/cases/230497/230497_978155_39_1.pdf)

პროექტების რეალიზაციის ყველაზე დაბალი ფასის მიხედვით. მეორე ეტაპის განმავლობაში კი, ქსელის დახმარება და ტექნიკური მხარდაჭერა ტენდერს გარე შერჩევით მოხდა ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი ანუ იაფი შემოთავაზების მიხედვით. ყველა სატენდერო პროცედურა ჩატარდა ევროკავშირისა და საჯარო შესყიდვების წესების სრული დაცვით.

**პროცესის მონიტორინგის** კუთხით, უნდა გამოიყოს შემდეგი მიმართულებები. ლიტვის ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი ამბობს, ღონისძიების ბენეფიციარი, Placiajuostis internetas, ვალდებულია გამოაქვეყნოს დაშვებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის: ტექნიკური სპეციფიკაცია, პირობები და ვადები) დაინტერესებული მხარეებისთვის და უზრუნველყოს ღია წვდომა (ხელმისაწვდომობა) ელექტრონული კომუნიკაციის ყველა ოპერატორისთვის. ვალდებულების შესაბამისად, ამ პროცესს ზედამხედველობას უწევს სამეთვალყურეო კომიტეტი. ლიტვის ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნებისმიერი დამატებით შემოსავალი უნდა გამოყენებულიყო ფართოზოლოვანი ქსელი განვითარებისთვის რეგიონებში.

Placiajuostis interneta არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც ამუშავებს ქსელს და იღებს ფინანსური მხარდაჭერას, რათა უზრუნველყოს საბითუმო ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდება იმ პირობებით, რომლებიც ბაზარზე არ არის სხვაგვარად ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარე, ეს იურიდიული პირი პირდაპირ იღებს ეკონომიკურ უპირატესობას დაფინანსებით, ხოლო სახელმწიფო დახმარების არაპირდაპირი ბენეფიციარები ანუ ელექტრონული საკომუნიკაციო ოპერატორები არიან. სახელმწიფოს და ევროკავშირის ამ ღონისძიებამ საშუალება მისცა საცალო ბაზარზე მოვაჭრე ოპერატორებს, რომ უზრუნველყოთ საცალო ფართოზოლოვანი მომსახურების ბოლო მომხარებლებისთვის მიწოდება ახალი, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის გამოყენებით. ამგვარად, ეს ოპერატორები იღებდნენ არაპირდაპირ ეკონომიკურ უპირატესობას, რომ ჰქონოდათ დაშვება საბითუმო მომსახურებებთან, რაც არ იქნებოდა შესაძლებელი ნორმალურ საბაზრო პირობებში, სახელმწიფოს დახმარების გარეშე.

პროექტი უნდა შემოწმებულიყო რეგულარულად და მონიტორინგის მექანიზმები ამოქმედდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის აქტივობა არ მოვიდოდა კონფლიქტში იმ წესებთან, რომელიც დადგინდა სტრატეგიით და გეგმით. დახმარების მიმღებს არ უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა შეემცირებინა და შეეცვალა კაპიტალდაბანდებების მოცულობა და შინაარსი.

### **3. ლიტვური მოდელის პრობლემები**

ლიტვის მთავრობის მიერ განხორციელებული ინტერნეტიზაციის პროექტის მიმართ არსებული დადებითი შეფასებების მიუხედავად, არსებობს უარყოფითი შეფასებებიც, რომელმაც თავი იჩინა სწორედ პროექტის რეალიზაციის შემდგომ. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის

განყენებულად განხილვა არ უნდა მოხდეს, რადგან ლიტვას დადგენილი ჰქონდა მთელი რიგი ვალდებულებები და გეგმები რეგიონების პრობლემების შემცირების მიზნით.<sup>8</sup>

პირველ რიგში, უნდა გამოიყოს ქსელის ოპერირების და მისი შენახვის ხარჯები. ლიტვის მოდელის შერჩევა იმპლემენტაცია მიმდინარეობდა თითქმის ერთი ათეული წელი. ორივე ეტაპი მოიცავდა მთავრობის ცალსახად გაწერილ და ბიუჯეტში ასახულ ვალდებულებებს მის ნაწილში ქსელის დატვირთვის შესახებ. ეს ნაწილი ასახული იყო სამთავრობო ვალდებულებებში ევროკავშირის მიმართ და ფონდის ოდენობაც წინასწარ იყო შეთანხმებული.

მუხედავად აღნიშნული ვალდებულებებისა, გარკვეული პერიოდის შემდგომ, ქვეყნის მთავრობას ჰქონდა დაფინანსების პრობლემები იმავე რეგიონებში მდებარე 330 სკოლის ინტერნეტ მოხმარების ხარჯების ნაწილში. აღნიშნულმა რისკის წინაშე დააყენა ამ ნაწილში ქსელის გამოყენებს და დატვირთვის საკითხები.

მეორე მხრივ, უნდა გამოიყოს რეგიონების მოსახლეობის შემოსავლების სიმწირის და მათი მხრიდან მოთხოვნის ნაკლებობის პრობლემები. მიუხედავად საქსელო ხარჯების დაბალი მაჩვენებლებისა, რიგ რეგიონებში, მოთხოვნის ნაკლებობის გამო, არ მოხდა საცალო ბაზარზე მოქმედი ოპერატორების შესვლა და ქსელი დარჩა დატვირთვის გარეშე, რაც ასევე უარყოფითად აისახა საოპერაციო ხარჯების დაფინანსების ნაწილზე. ჩვენი ინფორმაციით, ამ მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები, თუ ასეთი სამომავლოდ იქნება გათვალისწინებული ბიუჯეტში, არ იყო გაცხადებული საჯაროდ და შესაბამისად გაცნობილი იმ კომერციული კომპანიებისთვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოცხადებულ კონკურსში, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი შედარებით განსხვავებული იქნებოდა.

საქართველოს შემთხვევაში, ცალკე პრობლემად უნდა გამოიყოს სახელმწიფო სტრატეგიის არარსებობა. ლიტვისგან განსხვავებით,<sup>9</sup> სხვაგვარი წინაპირობები იყო და დგას დღესაც საქართველოს რეალობაში. ლიტვის ფართოზოლოვანი განვითარების სახელმწიფო სტრატეგია დაიგეგმა ღია პროცესის და კონსულტაციის გზით და მის მონიტორინგს კონკურენციის პრობლემების და ფინანსური რესურსების ხარჯვის მონიტორინგის კუთხით, ახორციელებდა ევროკავშირი.

აღნიშნულ საკითხთან კონტექსტში, მნიშვნელოვანია ლიტვის შემდეგი რეგულაციები:

<sup>8</sup>

[https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=3&ved=0CC4QFjACahUKEwi8nb\\_RvMHHAhWHfxoKHUE\\_A5g&url=http%3A%2F%2Fwww.reterurale.it%2Fflex%2Fcm%2Fpages%2FServeAttachment.php%2FL%2FIT%2FD%2FD.e7425d31bbb8b69859a9%2FP%2FBLOB%253AID%253D2475&ei=9ezaVfzOCYf\\_aCH-jMAJ&usg=AFQjCNHNEgEddhL6RSZed6wrDNvJUlrejQ&sig2=R34wqzbABw29-88MVwpCgA](https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=3&ved=0CC4QFjACahUKEwi8nb_RvMHHAhWHfxoKHUE_A5g&url=http%3A%2F%2Fwww.reterurale.it%2Fflex%2Fcm%2Fpages%2FServeAttachment.php%2FL%2FIT%2FD%2FD.e7425d31bbb8b69859a9%2FP%2FBLOB%253AID%253D2475&ei=9ezaVfzOCYf_aCH-jMAJ&usg=AFQjCNHNEgEddhL6RSZed6wrDNvJUlrejQ&sig2=R34wqzbABw29-88MVwpCgA)

<sup>9</sup> Government Decision of the Republic of Lithuania No 1231 „On the Strategy of Lithuanian broadband network infrastructure for 2005–2010“ adopted on November 16, 2005.

- 2002 წლის 12 ივნისს მიღებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, <sup>10</sup> რომელიც მიმართული იყო საინფორმაციო საზოგადოების ზრდაზე, სახელმწიფო საინფორმაციო სერვისების მოდიფიკაციაზე, კომპიუტერების გამოყენებაზე ეკონომიკაში და სხვა ისეთ მიმართულებებზე, რაც ფართოზოლოვანი განვითარების წამახალისებელი საშუალებები იყო.
- 2002 წლის 31 დეკემბერს მიღებული ელექტრონული მმართველობის კონცეფცია;<sup>11</sup>
- 2006 წელს, მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამა ლიტვის საინფორმაციო საზოგადოების განვითარების შესახებ, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი 4 ორიენტირი ელექტრონული მმართველობის მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობების შესახებ;<sup>12</sup>

ყველა ეს ზომა გათვლილი იყო როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივი აქტივობების დონეზე და ხორცილდებოდა ლიტვის მთავრობის მიერ.

ამ პრობლემების გამოსავალი საქართველოს ფართოზოლოვანი განვითარების სტრატეგიის დროულად გაწერაში და დამტკიცებაშია, რომელიც აუცილებლად უნდა წარიმართოს გამჭვირვალედ და პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. სამწუხაროდ, მხოლოდ ფრაგმენტული კოპირება, იმავე ლიტვის გამოცდილებისა, ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, რადგან მიუხედავად ევროკავშირის დახმარებისა და მისი კონტროლისა, თუ გადავხედავთ ლიტვის 2020 წლამდე გაწერილ აქტივობებს,<sup>13</sup> დავინახავთ, რომ პრობლემები კვლავ მრავლად რჩება.

---

<sup>10</sup> “On Lithuanian Economy Development up to 2015” adopted on June 12, 2002 by the Government Decision No 853

<sup>11</sup> On December 31, 2002 the Government of the Republic of Lithuania by the Decision No 2115 approved the Concept of Electronic Governance.

<sup>12</sup> Lithuanian Information Society Development Programmed for 2006–2008 approved by the Government Decision No 615 adopted on 21 June.

<sup>13</sup> <http://knowledgebase.e-irg.eu/countries/lt>